ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 14240096**

თარიღი:**09/01/2024**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „სოციალური უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „სოციალური უზრუნველყოფა“, ქვეპროგრამის „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა'' განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება - „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა'' ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად დანართი 1-სა;

ბ) „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა'' ქვეპროგრამით გათვალისწინებული ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად დანართი 2-სა;

გ) მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გადაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, თანახმად დანართი 3-სა.

2. „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ვაუჩერზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს.

3. „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებელ დაწესებულებასთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლელა სურმანიძეს.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ფარგლებში სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების შენახვა, ხელშეკრულების მიმწოდებელი დაწესებულებისათვის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისადმი მიწოდება.

5. წინადებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე (www.batumi.ge).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი